სსიპ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბრძანება

30.10.2014 № 215

სტუ-ს 2010 წლის 03 თებერვლის №10
ბრძანების ცვლილების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

I. ნაწილობრივ შეიცვალოს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დოკუმენტაციის საქმისწარმოების სრულყოფის შესახებ სტუ-ს 2010 წლის 03 თებერვლის №10 ბრძანების პირველი მუხლი და მე-4 მუხლის ა) პუნქტი და ისინი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დაევალოს დიპლომების განყოფილებას (ლ. მსხილაძე), დიპლომისა და დიპლომის დანართის გაცემა განახორციელოს კურსდამთავრებულის მიერ ფინანსური დავალიანების სრულად დაფარვის, პირადობის მოწმობისა და სრულყოფილად გაფორმებული შემოვლის ბარათის (იხ. დანართი) წარდგენის შემდეგ."

„4. დაევალოს ფაკულტეტის დეკანებს სტუდენტთა შემადგენლობის შესახებ ბრძანებებში:

ა) მიუთითონ სტუდენტის სახელი, გვარი, ფაკულტეტი, სწავლების საფეხური, სწავლების წელი, ჯგუფის ნომერი და პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული პირადი ნომერი; სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, გაგრძელების, შიდა მობილობის საუნივერსიტეტო ბრძანებების პროექტებში, აგრეთვე სასწავლო კურსების ხელახლა გავლაზე დაშვების, კომპონენტებზე „სამაგისტრო საკვალიფიკაციო ნაშრომის დასრულება და დაცვა" და „დისერტაციის დასრულება და დაცვა" დაშვების საფაკულტეტო ბრძანებებში დამატებით მიუთითონ ინფორმაცია საფინანსო ვალდებულების შესრულების შესახებ;"

II. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს სწავლების დეპარტამენტს (ი. ლომიძე).

III. ბრძანება გამოიკრას ფაკულტეტებზე და განთავსდეს სტუ-ს ვებგვერდზე.

რექტორი ს. ფრანგიშვილი

ვიზები:

რექტორის მოადგილე
ლ. კლიმიაშვილი

სწავლების დეპარტამენტის უფროსი
ი. ლომიძე

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი
ბ. მაისურაძე

დანართი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

. . . . . ფაკულტეტი

კურსდამთავრებულის

შემოვლის ბარათი

დიპლომი .....

სახელი, მამის სახელი და გვარი . . . . . .

დაბადების წელი . . . . . .

პირადი ნომერი . . . . . .

სწავლების საფეხური . . . . . .

ჩარიცხვის წელი . . . . . .

ჯგუფის № . . . . . .

აკადემიური დეპარტამენტი . . . . . .

ხელის მოწერა, თარიღი ბ.ა.

ფაკულტეტის ბიბლიოთეკა . . . . . .

ხელის მოწერა, თარიღი ბ.ა.

სტუ-ს ბიბლიოთეკა . . . . . .

ხელის მოწერა, თარიღი ბ.ა.

აღრიცხვა-ანგარიშგების დეპარტამენტი . . . . . .

ხელის მოწერა, თარიღი ბ.ა.

ფაკულტეტის დეკანი . . . . . .

ხელის მოწერა, თარიღი ბ.ა.

დიპლომი გაიცემა სტუ-ს დიპლომების განყოფილებაში (ადმინისტრაციული კორპუსი II სართული, ოთახი 233, 14.00 საათიდან 17.00 საათამდე)